სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშკრულება ₁ 28

ქ. ქუთაისი 29 ოქტომბერი, 2019 წელი

ერთის მხრივ **ვეტა ჩხენკელის სახელობის ხონის მოსწავლე–ახალგაზრდობის ცენტრი** (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე აკობიძის სახით და მეორეს მხრივ **შპს „რაპაკა“,** (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის კახა გვეტაძის სახით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს" ქვეპუნქტის შესაბამისად ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული ფორმით **საქონლის** სახელმწიფო შესყიდვაზე.

1.ტერმინთა განმარტებები

1.1 წინამდებარე ხელშეკრულემაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება „ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლში განმარტებულ ტერმინებს.

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1 მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველისათვის **ბანერის (CPV 39294100)** მიწოდებას ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **40.00 ლარს.**

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები.

4.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს შეძენილი საქონლის ღირებულება საანგარისწორებო დოკუმენტაციის (ანგარიშფაქტურის (ინვოისის) ან/და მიღება–ჩაბარების აქტი). შემსყიდველისათვის წარდგენიდან 5 დღის ვადაში უნაღდო ანგარიშსწორებით.

5. მიღება–ჩაბარებს წესი

5.1 ხელშეკრულების ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარისწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

6 მხარეთა უფლება – მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მომწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქაონლის ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს უფლებრივად უდავო საქაონელი სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, გამოუქვეყნოს განცხადება, მილოცვა და თანაგრძნობა, შეასრულოს ამ ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ინსპექტირება.

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი კოორდინატორი.

7.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

7.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზაღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლოთ დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა.

8.1 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იცვლება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის.

8.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა, რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

8.3 ხელშეკერულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა ეცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

8.4 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა (ფორს–მაჟორი)

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან/და მისი არაჯეროვნად შესრულებისათვის კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანის ოდენობით, ურთიერთშეთანხმებით , ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12 . ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2020 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ხონის მოსწავლე–ახალგაზრდობის ცენტრი ხონი, მ.ხონელის ქუჩა N1 საიდენტიფიკაციო კოდი: 444957959 სახელმწიფო ხაზინა ა/ა 745407499	შპს ,,რაპაკა“ ქუთაისი, წერეთლის და ჯიბლაძის 35/2 საიდენტიფიკაციო კოდი: 412704505 ბანკი:პროკრედიტ ბანკი კოდი: MIBGGE22 ა/ა GE54PC0013600100045900

14. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი: Aleksandre Akobidze _____ Подписано цифровой подписью: Aleksandre Akobidze Дата: 2019.10.30 17:26:50 +04'00' Версия Adobe Acrobat Reader: 2019.021.20049

მიმწოდებელი:_____